**სტოკჰოლმი. (ხაკდესი). აქ გამოაცხადეს შვეციის რიქსდაგის (პარლამენტი) გუშინდელი მორიგი არჩევნების წინასწარი შედეგები. საბოლოო შედეგები ცნობილი გახდება ოთხშაბათს.**

ყველაზე მეტი ხმა მიიღო შვეციის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, რომელსაც, როგორც მოსალოდნელი, ამიერიდან რიქსდაგში 152 ადგილი ექნება. წინანდელ შემადგენლობაში მას ჰქონდა 156 ადგილი. მემარცხენე პარტიას — კომუნისტებს, რომელიც პარლამენტში მთელ რიგ საკითხებში მხარს უჭერს შვეციის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, 17 მანდატი აქვს.

ბურჟუაზიულ პარტიებს, წინასწარი მონაცემების თანახმად, ექნებათ: ცენტრის პარტიას — 86 ადგილი, სახალხო პარტიას— 39, ზომიერ კოალიციურ პარტიას — 55.

ამრიგად, პარლამენტში 349 დეპუტატის ადგილიდან, 180 როგორც ჩანს, ბურჟუაზიულ პარტიებს ექნებათ.

განმარტი რა პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგები, შვეციის პრემიერ-მინისტრმა ულოფ პალმემ განაცხადა, **რომ** თუ ხმების საბოლოო დაჯამებისას ისინი დამტკიცდება, მისი მთავრობა გადადგომას მოითხოვს.

**საკდესი**

# ტელეტაიპის ლენტიდან...

**შეთანხმება მოიწონეს**

● **ლუანდა.** ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონა შეთანხმება ანგოლის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ, **რომელიც წელს მოსსკოვში მოაწერეს ხელი მოსკოვში.**

ეს გადაწყვეტილება, ნათქვამია ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, მოწმობს ორი ქვეყნის მისწრაფებას ხელი შეუწყონ ვაჭრობის განვითარებას.

**იპარავენ ხელოვნების ნაწარმოებებს**

● **ნიუ-იორკი.** დასავლეთში სულ უფრო ხშირად ამარავენ ცნობილი მხატვრების ხელოვნებისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებს. ხელოვნების ნაწარმოებთა დაკარგვა საერთაშორისო ასოციაციის მონაცემებით, 1975 წელს მოიპარეს დიდი მხატვრული ღირებულების 33.840 ნივთი — 7,6 ათასით მეტი, ვიდრე 1974 წელს.

**დაპატიჟების საზღვრის ახალი ხაზი**

● **დელი.** კალკუტაში (დასავლეთ ბენგალიის შტატი) ინდოეთმა და ბანგლადეშმა დაამთავრეს ექვსდღიანი მოლაპარაკება ორი ხახელმწიფოს საზღვრის დემარკაციის თაობაზე. როგორც გაზეთი „პეტრიოტი“ წერს, მხარეებმა დაამტკიცეს სამოცამდე გეოგრაფიული რუკა, რომლებზეც აღნიშნულია საზღვრის ახალი ხაზი.

**მოქმედების ერთიანი პროგრამა**

● **იაუნდე.** აქ მუშაობა დაამთავრა ცენტრალური აფრიკის ხახაფთ და ეკონომიური კავშირის ხოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის კომისიამ.

კამერუნის, გაბონის, ცენტრალიური აფრიკის რესპუბლიკისა და კონგოს სახალხო რესპუბლიკის ექსპერტებმა განიხილეს და მოიწონეს მოქმედების ერთიანი პროგრამა.

# გაცვეთილი მითის საგაგით

**ჯენტაგონი აძლიერებს გამაკლებულ-შეიარაღებას**

**ვაშინგტონი,** (ხაკდესი). პენტაგონი ამბობს კვლავაც გაზარდოს სამხედრო ბიუჯეტი, აძლიერებს ხაშიბ გამალებულ შეიარაღებას. აქ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დ. რამსფელდმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები 1978 ხაფინანსო წელს გადააჭარბებს 120,6 მილიარდ დოლარს. ეს 8 მილიარდი დოლარით მეტია, ვიდრე 1977 საფინანსო წელს, ვიზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამოწმებს კონგრესის საქმეს გაცნობილ წრეებს. ეს წერს, რომ ამ ციფრებს შეიძლება მიაღწიოს 130 მილიარდ დოლარს. ბიუჯეტის გადიდება — გადიდება კი მნიშვნელოვანია — გათვალისწინებულია ერთი წლისათვის, განაცხადა მინისტრმა.

შეეცადა რა გაემართლებინა საამხედრო ხარჯების ზრდის კურსი, პენტაგონის ხელმძღვანელმა კვლავ გამოამზეურა გაცვეთილი მითი „საბჭოთა მუქარის“ შესახებ. რამსფელდმა ეს თქვა იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა მთავრობას არაერთგზის განუცხადებია, საბჭოთა ხახელმწიფო არავის არ იმუქრებაო. საბჭოთა კავშირი წლითიწლობით არ ზრდის სამხედრო ხარჯებს და ოღონდ, რომ უზრუნველყოფილი იყოს ხახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების საერთო შეთანხმებული შემცირება, სწორედ საბჭოთა კავშირმა წამოაყენა დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი, რომ დაიწყესდეს საერთო ყადაღა ახალი ხახეობისა და სისტემების მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნას, დაიდოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ. ამრიგად, რამსფელდმა უხეშად დაამახინჯა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა. ასეთი ბინძური მეთოდების გამოყენება არ ეკიდრებათ სახელმწიფო მოღვაწეებს.

რამსფელდს, როგორც ჩანს, ასეთი განცხადება იმიტომ დასჭირდა, რომ კონგრესისათვის მეიღებინებინა კოლოსალური სამხედრო ხარჯები და შეცდომაში შეეყვანა ამერიკის საზოგადოებრიობა, რომელიც იოლაშქრის გამალებული შეიარაღების გაძლიერების წინააღმდეგ, რამაც უმაგალითო მასშტაბს მიაღწია, აგრეთვე საარსებო **სოციალური** საჭიროებისათვის **ასიგნებათა შემცირების** ზით სამ**ხედრო ხარჯების** გადიდების წინააღმდეგ.

# ძველ პოზიციებზე

**მოიითხოვენ სოციალური საჭიროებისათვის ასიგნებათა შემცირებას**

**ლონდონი,** (ხაკდესი). **გამოქვეყნდა კონსერვატიული პარტიის ადგილობრივი განყოფილებებ ის მიერ მომზადებული და პარტიული ხელმძღვანელობის შერჩეული რეზოლუციების პროექტების კრებული, რომელიც უნდა განიხილონ კონსერვატიული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე 5 ოქტომბერს ბრაიტონში.** პროექტების შინაარსი მოწმობს, რომ კონსერვატიული პარტია იცავს მონოპოლიათა ინტერესებს მშრომელთა მასების ინტერესების საწინააღმდეგოდ.

მთელი რიგი რეზოლუციების პროექტებში გამოთქმულია მოწოდებანი, რომ მთავრობამ კიდევ უფრო შეამციროს ასიგნებანი სოციალური საჭიროებისათვის, მშრომელთა დაფიცვების უფლების შეზღუდვისათვის.

პროექტებში, რომლებიც საგარეო-პოლიტიკურ საკითხებს ეხება, ჭარბობს წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ „საერთო ბაზარში“ ინგლისის უფრო ღრმად ჩათრევას, რაც, როგორც ცნობილია, ხელს აძლევს მსხვილ მონოპოლიებს და კიდევ უფრო ზრდის უმუშევრობასა და სიძვირეს.

# აპარტეიდის წინააღმდეგ

**კაიროო, (ხაკდესი). 30-31 ოქტომბერს ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში გაიმართება აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი ხამხრეთ აფრიკის ხალხთან სოლიდარობის ხაგანგებო საერთაშორისო კონფერენცია.** ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის **ხაერთაშორისო ხელმძღვანელობისა და ეთიოპიის დროებითი სამხედრო მთავრობის დელეგაციის** მოლაპარაკების **მსვლელობაში.**

## ესეც შენი „თავისუფალი სამყაროო“

# პოლიციური დარბევა სიბრუკში

**ამერიკის შეერთებული შტატები.** ახე გაუხწორდა ნიუ-ჰემფშირის შტატის პოლიცია მჯდომარე ხაპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეებს ქ. სიბრუკში (სურათზე), **რომლებიც მშვენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის ხისტემატურ დარღვევათა აღმოსაფხვრელად გადამჭრელ ღონისძიებებს მოითხოვდნენ.**

**ამის გამო, რომ მეწარმეებს არ ხური ზედმეტი ხარჯების გაღება, ამერიკის მრავალ ხაწარმოში არ არსებობს შრომის დაცვის ელემენტარული ნორმები, რაც ხაწარმოო ტრავმატიზმის ერთიან მაღალი დონის მთავარი მიზეზია. განსაკუთრებით მაღალია იგი, ხამშენებლო მრეწველობის დარგში, სადაც ყოველ 100 მუშიდან ტრავმას იღებს 19 კაცი. სხვრივ ინვალიდობის გამომწვევი დასახიჩრების და ხიკვდილის შემთხვევებიც კ.**

**აპ-ხაკდესის ფოტო.**

# ბალესტინის ხატკივარი და შეპარობა

## 2

**1958 წლის** ზაფხულის ერთ დახუთულ საღამოს ელ-კეგეტის ერთ-ერთ კაფეში, სადაც პალესტინელი ემიგრანტები იკრიბებოდნენ ხოლმე, ოთხი ახალგაზრდა კაცი პალესტინურ დროეტებზე ხმადაბლა რაღაცაზე კამათობდა. მათ შორის ყველაზე უფროსი, რომელსაც ნახევარ ჯარისკაცული პერანგი ეცვა და ზავი სათვალე ეკეთა, ენერგიული ჟესტიკულაციით რაღაცას ამტკიცებდა. მეზობელ მაგიდებამდე ძლივს გასაგონად აღწევდა ცალკეული სიტყვები: „ხალხი“, „რევოლუცია“, „ანტიიმპერიალიზმი“. თანმოსაუბრენი ზოგჯერ სახელს მოიქანაცებდნენ ხოლმე — მგზნებარედ მოსაუბრე მეგობარს: „ჩუმად, ვინმემ არ გაგიგონოს“. სუფეიტში ცხოვრების ნებას რთავდნენ მხოლოდ იმ ემიგრანტებს, ვისაც ხელწერილი ჰქონდა დადებული, რომ პოლიტიკურ საქმიანობაზე ხელს ალებდა).

იმ შავსათვალიან ახალგაზრდა კაცს ეასერ არაფატი ერქვა. იგი ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო, მაგრამ უკანასკნელი ათი წელი მთელ ცხოვრებას უდრიდა. მან ლტოლვილის მწარე ხვედრი და ტანჯვა-გაება იწვნია, შემდეგ გამალ აბდელ ნასერის თანამებრძოლებთან ერთად პალესტინელ რაზმში იბრძოდა ეგვიპტეში ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ინგლისელების განდევნის შემდეგ იასერ არაფატი კიბრის უნივერსიტეტში შეედინა. პალესტინელმა სტუდენტებმა იგი სათვისტომოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1956 წელს ეგვიპტის არმიის ნაწილებში ეგი ინგლისელ, ფრანგ და ისრაელ აგრესორთა წინააღმდეგ იბრძოდა.

კუვეიტის მუუდრო კოფეში შეკრებილი პალესტინელები წინააღმდეგობის მოძრაობის განფიფარების გზებზე მსჯელობდნენ. მათთვის ცხადი იყო, რომ კარგად ორგანიზებული ერთიანი ცენტრის უქონლად შეუძლებელი იქნებოდა სიონისტი ოკუპანტებისგან საშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარმართვა. თუცალებელი იყო ერთიანი პალესტინის შემუშავება პალესტინის წინააღმდეგობის მრავალრიცხოვანი რაზმების გასაერთიანებლად, მიზნების ნამოყალიბება, ბრძოლის ტაქტიკის არჩევა. მართალია პალესტინელთა პირველი პარტიზანული რაზმები, ისეთი, როგორიც იყო, მაგალითად, „ალ ჯიგად ალ-მუქადასი“, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ათი წლით ადრე შეიქმნა, მაგრამ ისინი სუსტად იყვნენ ორგანიზებული და ამასთან ხალიფალისტური ხასიათი ჰქონდათ. 50-ათი წლების მეტწილად სტიქიური ხასიათი ჰქონდა. სიონისტური ხელისუფლება საოკუპაციო რეჟიმის უმნიშვნელო დარღვევებისათვისაც ჯულმობლად სჯიდა პალესტინელებს. თვითეული საბრძოლო ოპერაციის შემდეგ ეჭვმეტანილებავან ან ფიდაინთა ნათესავთაგან მიპყავდათ მძევლები, რომლებსაც სასტიკად უსწორდებოდნენ.

ბევრ არაბულ ქვეყანაში პალესტინის ორგანიზაციები ასევე არალეგალურად მოქმედებდნენ. ოთახლეთის ამპერიალისტურ წრეებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ადგილობრივ რეაქციას ემინოდა არ გაძლიერებულიყო პალესტინელთა რევოლუციური გავლენა ახლო აღმოსავლეთში. ამისთვის ხალიფალისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პალესტინელთა რაზმები და საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენებინათ ისინი, მიეჩქარნენ მოძრაობის ეშმარიტად პატრიოტული და ანტიიმპერიალისტური ხასიათი. იმპერიალისტური აგენტურა მის რიგებში, მათ შორის „ფაპეთის“ ორგანიზაციაში, ამარებდა **ყველა ჯურის** პროვოკატორებსა და ექსტრემისტებს, რათა ორგანიზაციისათვის შეეგინდან გამოეთხარათ ძირი, გაეხორციელებინათ პროვოკაციული ტერორისტული აქციები, **რომლებიც** პალესტინის მოძრაობას ხახელს გაუტეხდა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობამ თავისი განვითარების ხუთი ეტაპი განვლო: 1959-1967 წლები — კონსპირაციული მუშაობა, 1967-1970 წლები — იორდანიელ შეთიდან გამოსვლა, 1970-1973 წლები — **ორგანიზაცია, 1973-1975 წლები — გა**ბატონებული ტენდენციის **ბრძოლის** ეტაპი. **ამავე დროს** იქმნება „ფათეხი“ შეიარაღებული რაზმები — „ალ-ასიფა“ („ქარიშხალი“), ახალგაზრდა პალესტინელები ირაზმებიან იასერ არაფატის ირგვლივ. ბევრ მათგანს შეეძლო არცთუ უთიგო კარიერის იმედი ჰქონოდა ცხოვრებაში, მაგრამ უარი თქვეს მაღდუნებელ თანამდებობებსა და წინადადებებზე და მან შეგნებულად აირჩიეს „ალ-ასიფის“ რაზმებში რიგითი მებრძოლის სიცოცხლის რისკით აღსავსე ცხოვრება.

1969 წლის თებერვალში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარედ ირჩევენ იასერ არაფატს. ამ ეტაპზე მოყოლებული პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომი ძალ-ღონეს არ იშურებს მოძრაობის დაჩქარებული ჯგუფების კონსოლიდაციისა და ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციისათვის. პალესტინის ორგანიზაციების **ყველა ხელმძღვანელი** ტურება პოლიტიკურ და დიპლომატიურ ასპარეზზე და 1975 წლიდან — ბრძოლა პალესტინელ წინააღმდეგობის მოძრაობის მოსპობის ამპერიალისტური გეგმის წინააღმდეგ, როგორც ახლო აღმოსავლეთში ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

1964 წლის იანვარში კაიროში გაიმართა არაბულ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პირველი თათბირი. მან მიიღო გადაწყვეტილება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შექმნის თაობაზე. იასერ არაფატი ფართო ორგანიზაციულ მუშაობას აწარებს. მისი მთავარი მიზანია პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინელთა ინტერესების ჭეშმარიტად გამომხატველ ორგანიზაციად ფ-ლი ეროვნული ბანაკი ბოლოს ალბანეთ-ალ-ფალესტინეთ“ ბანაკ-ალ-ბარაჯნეთ“ ბანაკ-ალ-ბეკაეთ“ ბანაკ-ალ-ბეკაეთ“ ბანაკ-ალ-ბეკა

# სამი ძმის ქორწილი

**ფუნჯითა** და ხატვრელით მაღლმოსილია, ქართული ხელოვნებითა და ჭედურობის ნიმუშებით დამშვენებულ დარბაზში შესულ ბედნიერ წყვილებს გაბრწყინებული თვალებით შეხედავენ ცხაკაიელები, ჩუმად დალოცავენ გულში და სათავისო საქმეებისაკენ ეშურებიან.

დარბაზში კი ზეიმია, ბედნიერების, სიხარულის სიმბოლოდ ქცეული ყველაზე ნორჩი ცხაკაიელების დაბადებისა და ახალდაქორწინებულთა რეგისტრირების ეს ლამაზი დაწესებულება — „ჟუხი ბედნიერი“.

რა ხანია ასეა, რაიონის საწარმოების, საოლმეურნეო შინდვრების მოწინავე ახალგაზრდები ოჯახის შექმნასა და დაქორწინებაზე დაიწყებენ თუ არა ფიქრს, ზეიმურ ხასიათს ძალევენ თავიანთი ცხოვრების ამ ყველაზე ბედნიერ დღეს. აქ თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროსა და გემოვნების შესაფერი იერსახე მიეცა ქორწინების ტრადიციულ ცერემონიალს.

აი, მოსულან მექორწინენი, მმაჩის ბიუროს გამგე თინათინ ვართაგაკა ხელგაშლილი ეგებება სტუმრებს.

რაიონის ერთ-ერთი დიდი საწარმოს — პოოკომბინატის ახალგაზრდა ხელმძღვანელს მანანა გიგიბერიას, თავის გულს სწორთან ოჯახის შექმნის სურვილთან ერთად, სითბო, სიყვარული და ქალური კეთილმოსილება მოუტანია.

სიხარული და ბედნიერება ახატია სახეზე ყოველ დამსწრეს, „ჟუჩხი ბედნიერის“ სტუმრებს ხომ მრავალ მოძღოცველი ჰყავს მუდამ.

...და მაინც სხვა დღეებზე სტუმარმრავალი იყო ის დღე, ყველა მოუთმენლად ელოდა საუთარი თვალითა ნანახი მექორწინეები ტრისტან, სულთან, როზმან ჩილაძეები, მათი მეწყვილე — რჩეულები.

ცხაკაიას სანაშენე მეფრინველეობის რეპროდუქტორში კარგად იცნობენ მექანიკოს ტრისტან ჩილაძეს და მის უმცროს ძმას — ცეცხლფარეშ როზმანს. შუათანას, სულთანს, ბათუმი აურჩევია შრომისა და ცხოვრების ადგილად.

სანაშენე რეპროდუქტორში საქმიანობისას დაუახლოვდნენ ერთმანეთს ტრისტანი და მისი რჩეული დიდი ბალღუშვილი. კოლექტივის ყველა წევრი სიხარულით ელოდა ამ ორი კარგი ახალგაზრდის შეუღლებას. არც როზმანს გადწყვეტილება იყო უცხო კოლექტივისათვის, თუმცა სარძლო — ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სახელოვანი ქალიშვილი ლიდო წულეისკირი, ბევრს არ ენახა ჯერაც.

სულთანის შესახებაც ბევრი სმენოდა თანასოფელელებს, იცოდნენ, პატიოსანი ოჯახის შვილი ლირსეულად საქმიანობდა და მის რჩეულს საფერად მიიჩნევდნენ ჩილაძეების ოჯახისათვის.

სამი ძმის საქორწინო ცერემონიალზე მოვიდნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები, მათი შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, ახლობლები, მეგობრები... ტავა არ იყო ჩუქურთმებით დარბაზში.

დიდი მექორწინეთა რეგისტრირების საზეიმო წუთებიც, მხიარულმა მელოდიებმა აიყო დარბაზი.

საპატარძლო სამოსელში მორთულ სამეულს, მომავალ რძლებს — დიდო ბალუშვილს, დიდო წულეისკირსა და მარინე დუმბაძეს, გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით ახალი პასპორტები გადასცა საქართველოს სსრ შს ცხაკაიას რაიონყოფილების უფროსის მოადგილემ დ. კუკავამ.

მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის დირექტორმა ო. შალამბერიძემ ბედნიერება მიუსურვა ახალდაქორწინებულებს და მშრომელი კოლექტივის წევრთა სახელითა — ფარფოიკრანიან ტელევიზორებთან ერთად, ბინის ორდერები გადასცა ამ კოლექტივის წევრ ძმებს ტრისტანსა და როზმანს.

ქალაქის VII საშუალო სკოლის პიონერებმა ლექსებითა და სიმღერებით მიმართეს ბედნიერ წყვილებს, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა კლავდია შერიღულაიამ შობლიური ხითბოთი გულითადად დალოცა ისინი.

პარტიის ცხაკაიას რაიკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიასპეჭოს აღმასკომის, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მუშაკთა სახელით მექორწინე წყვილებს მიესალმა და ადამიანური ბედნიერების ყველა სიკეთე უსურვა პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ.

ზეიმი გრძელდებოდა, მუსიკის ხმები მიაღწევდნენ მექორწინეებს ქალაქის ქუჩებში.

კიბარისების ხეივანში, ქალაქის პარკის ხიღრმეში, მათ ყვავილებით შეამკეს სახელოვანი თანამემამულის, საბჭოთა კავშირის ვმირი მფრინავის ალექსანდრე წულეიშვილის ძეგლი და საფლავი, აქ ყვავილები მოიტანა ცერემონიალის ბეგრმა მონაწილემ.

შრომელთა დასვენების ეს შაბათი დღე საერთო ზეიმად იქცა ქალაქში, ქორწინების ამგვარმა ცერემონიალმა ახლებური ელფერი მისცა მას, საყოველთაო მოწონების ღირსი, ზეიმური და თანამედროვე.

სალამოსთვის კი ამ ზეიმმა ნოსიერში, მექორწინეთა ეპრკვეშ გადაინაცვლა, სამი ვაჟკაცის დედას ბედნიერებას ულოცავდა სოფელი.

**გ. მზარელეშვილი.**

• • •

**ხერხაში:** მექორწინე ძმები ჩილაძეები თავიანთ მეუღლეებთან.

**ზ. ხარმაპაპ ფოტო.**

## ალზრდის თემაზე

# ასე იწყებენ ცხოვრებას

**მკვლევანა** ასე შვიდი და ნარნარი იყო ზღვა, ცხრათვალა მზე ოქროსფრად ანათებდა ფიქვებით დამშვენებულ სანაპირო. ბილიკზე ბავშვები ერიამულით მიიბიჯებდნენ. სექტემბრის იმ დაუვიწყარ დღეს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა სწავლის დაწყების დღეს ზეიმობდა, პატარები პირველად მიდიოდნენ სკოლაში. ვიდრე საკლასო ოთახში შევიდოდნენ, ეწოდა მიტინგი გაიმართა. მეათეკლასელებმა თაიგულები და „დედაენა“ გადასცეს პირველკლასელებს. ნორჩებს გზა დაულოცა სოციალისტური შრომის გმირმა ნათელა ჩელებაძემ, რომელსაც ეს სახპატაკო წოდება ჯერ კიდევ მაშინ მიანიჭეს, როცა მკერდზე პიონერის ფლასავევი უფრიალებდა.

„გიყვარდეთ შრომა! მხოლოდ მაშინ შესძლებთ კარგად სწავლას, მხოლოდ მაშინ გახდებით ღირსეული ადამიანები!“—უთხრა გმირმა პატარებს. მათ, რასაკვირველია, იმ წუთებში მთელი სიღრმით ვერ შეიგრძნეს ამ სიტყვების მთელი არსი. მაგ ხორცშესხმას ის მრავალი წელიწადი დასჭირდა, რომლებმაც მაშინდელი პატარები მეათეკლასელებად აქცია. მაგრამ ამ წუთებში

**დაკვეთეთ მავნე, ახალი ელფერით ფეიერკოთ მოხალწონი ტრადიციები**

**სწრეს, „ჟუჩხი** ბედნიერის“ სტუმრებს ხომ მრავალ მოძღოცველი ჰყავს მუდამ.

...და მაინც სხვა დღეებზე სტუმარმრავალი იყო ის დღე, ყველა მოუთმენლად ელოდა საკუთარი თვალითა ნანახი მექორწინეები ტრისტან, სულთან, როზმან ჩილაძეები, მათი მეწყვილე — რჩეულები.

ცხაკაიას სანაშენე მეფრინველეობის რეპროდუქტორში კარგად იცნობენ მექანიკოს ტრისტან ჩილაძეს და მის უმცროს ძმას — ცეცხლფარეშ როზმანს. შუათანას, სულთანს, ბათუმი აურჩევია შრომისა და ცხოვრების ადგილად.

სანაშენე რეპროდუქტორში საქმიანობისას დაუახლოვდნენ ერთმანეთს ტრისტანი და მისი რჩეული დიდო ბალღუშვილი. კოლექტივის ყველა წევრი სიხარულით ელოდა ამ ორი კარგი ახალგაზრდის შეუღლებას. არც როზმანს გადწყვეტილება იყო უცხო კოლექტივისათვის, თუმცა სარძლო — ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კორვალანს, რომელიც ხუნკამ დილეგში გამოამწყვდია, 14 სექტემბერს 60 წელი შეუსრულდა. მეათეკლასელები აქტიურად ნაბენენ საერთაშორისო აქციაში „სოლიდარობის მილიონი ყვავილი“. ქობულეთიდან ნილეში ლუის კორვალანს სახელზე გაგზავნა წითელი მისაკუთრებით დამშვენებული მისალოცი ბარათები.

მეათეკლასელებს თავისი წვლილი შეაქვთ ახლო წარსულის ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საქმეში. მათი თაოსნობით სკოლაში შეიქმნა მავნე წესჩვეულებებთან და ტრადიციებთან მებრძოლი შტაბი, ბრძოლა გამოვიხადა მოსწავლის ასაკისათვის შეუფერებელ დღეობებს, სათანადო ყურადღება მიქცია თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას.

რუსთაველ მეტალურგიის მოწოდება „ბრეკერი ბამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“ პირველად მეათეკლასელებმა აიტაცეს — ყოველი მათგანი შეფობას გაუწევს სხვა კლასების იმ მოსწავლეებს, რომლებსაც „ძნელად აღსაზრდელებს“ უწოდებენ.

და კიდევ ერთი რამ — რაც მთავარია: წელეულს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სწავლის ხარისხს. მეათე კლასში ძალზე ბევრია ხამოსანი. ეს კი დიდი ნაკლია, ფინალიდან სამიანი არ არის ისეთი ცოდნის გამომსატყველი შეფასება, როგორიც ტექნიკის ეპოქას მეკუთვნება.

მეათეკლასელებმა პიონერული ცხოვრებისა და კომკავშირული საქმიანობის ჩანებული გზა განვლეს. სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღეებში მათ რაზმს მარჯვენაფლანგელის სახელი მიენიჭა. სუფთა წლის შემდეგ კი ეს სახელი მიკუთვნა ამ რაზმს, რომელსაც წინ უძღვის მეათეკლასელი ქეთინო ჩხარტიშვილი. მოკრძალებული, თავმდაბალი გოგონა კოლექტივის ინტერესებს ყოველთვის რომ პირადზე მაღლა აყენებს.

ახლაც, სწავლის დაწყების დღეებში ქეთინო — ოთა თავაძესთან და ნინო ანანიძესთან ერთად სკოლის შენობის დასუფთავებაში ეხმარებოდა უფროსებს. ლია თავაძე კომკავშირის კომიტეტის მდივანია, წარჩინებული მოსწავლე, კარგი ორგანიზატორი. მრავალი საინტერესო ღონისძიების წამოწყებელი. ხალმაყოფი გიამბობთ ბაიკალ-ამურის magistralის მშენებლებთან გაგზავნილი ამანათების შესახებ. ბამიდან ქობულეთელმა ზურაბ ირემაძემ წერილი მოგვწერა, გვეუბნება და ბამელთან სასეკმბრო მილოცვასაც გვიჩვენებს.

ისევე, როგორც ცხრა წლის წინათ, სკოლაში მივიდა ხოციალისტური შრომის გმირი ნათელა ჩელებაძე. მან კომკავშირის რაიკომის სიფულები გადასცა „მწვანე ფრონტზე“ ჯამარჯვებულ მოსწავლეებს, მათ შორის მეათეკლასელებსაც.

**გ. ბახტაძე,**

**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

## საქართველოს ქთა-ბარმი

### საბჭოთა მეურნეობამ სკოლა ააშენა

**ბორონეში.** (საკ. კორ. ბ. მილიუტინი). ახალი სასწავლო წელი დიდსანს ეხსომებათ ლენინგრადელ მშრომელებს — აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი პროექტით აშენებული ორსართულიანი სკოლის შენობა, რომელიც ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი შ. ლეონოვანა) საკუთარი სახსრებით ააგო.

ამ საქმეში დიდი მონდომება გამოიჩინა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცხაკაიას № 5 ტრესტის ხხოროწყუს № 2 მოძრავი მექანიზებული სამშენებლო რაზმის (უფროსი გ. ჩიქოვანი) კოლექტივმა. ნათ ეხმარებოდნენ სკოლის მასწავლებელი, უფროსკლასელები და ერთობლივმა შრომამ ხასიათარული ნაყოფი გამოიღო.

□

### მკითხველის კალმით

**თელავი.** „საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე“, — ამ თემას მიეძღვნა დისპუტი, რომელიც ფყალთოს სასოფლო კლუბის, ბიბლიოთეკის და საშუალო სკოლის ინიციატივით მოეწყო: „როგორ შევქმნათ ოჯახი“, „მეგობრობა და სიყვარული“, „როგორ უნდა ვიქცეოდეთ საზოგადოებაში“. — იმ დღეს დიდი სჯა-ბაასი გაიმართა ამ საკითხებზე რაიონის ახალგაზრდებს შორის.

**ხ. ოიხეგაშვილი.**

**კოგულეთი.** ამ დღეებში პროფესორმა ი. ტაბაღუამ ციტრუსების შემფუთავ ქარხანაში ლექცია წაიკითხა სოფთაშორისო თემაზე, ხოლო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ქობალია მუხუსტატელ მშრომელებს ეაუბრა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მნიშვნელობის შესახებ.

**ო. კოტეელიძე.**

### ჯარისკაცის დაბრუნება

**ბასპი.** (საქინფორმის კორ.). კასპის ცენტრალურ მოედანზე გამართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ტალინგრადის ბრძოლაში დალუპული ვალერიან შალუტაშვილისა და მისი უცნობი მეგობრის გადმოსვენებას. აქ მეომართა კუთაებთან სახატიო ყარაულში გამწკრივდნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

შემდეგ სამგლოვიარო მიტინგი კასპის სახაფლაოზე გაგრძელდა, სადაც დაკრძალეს სტალინგრადიდან გადმოსვენებული სამშობლოს მამაცი მეომრების ნეშტი. მიტინგზე გამოვიდნენ კასპის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. მურჯიანელი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გ. ხარგუაშვილი, სამამული ომის ვეტერანი ვ. მგელაძე, პედაგოგი გ. ბუხრიკაძე, მოსწავლე ლ. ხაბაშვილი და სხვები.

კასპის მშრომელებმა გადაწყვიტეს ძეგლი დაუდგან ომში-ბლის მამაც დამცველებს.

### ჯილდო დაიმსახურეს

**კულტურის** მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი (თავჯდომარე ა. ერგეშელიძე) სოფლის მოსახლეობის საუკეთესო მომსახურებისათვის სსრკავშირის კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა.

**ივ. ბუხაიძე**

### სხვრად ამბროლაურში

**ამბროლაური.** ფოთის გუნდის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი ამბროლაურის რაიონს ეტუმრა და მაყურებელს უჩვენა მ. ბარათაშვილის ომამდელი დიმიტრი კომედია „შეხვედრა ნაგულასთან“ და გ. ბერიაშვილის დრამა „მთავარ დღეს დაუჭერია“.

**ა.ა. კერესელიძე.**

## ჩოგბურთი

# ბოლო აკორდი

### ხსრ კავშირის თასზე

**კვირას** „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური ტურნირი ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

საასპარეზოდ პირველნი ქალები იხმეს. საქართველოს გუნდი ლატვიელებს ხვდებოდა მესამე ადგილისათვის. ჩვენი ლიდერი ალა ივანოვა დამარცხდა სტუმართა ნაკრების კაპიტანთან ი. შევჩენკოსთან ორთაბრძოლაში — 6:3, 4:6, 3:6. ნინო თუხარელმა მოუგო ზ. ივანოვას — 6:3, 6:2, მარინე ელერდაშვილმა — ა. პოლუმანეს — 5:7, 6:4, 6:1, ხოლო სათუნა კეკელიამ დასთმო ბრძოლა დ. იუშკასთან შეხვედრაში— 4:6, 3:6. ივანოვასა და თუხარელის წყვილი დამარცხდა შევჩენკო-ივანოვას დუეტთან — 6:1, 5:7, 3:6.

ამრიგად, მესამე საპრიზო ადგილი ლატვიელებს ხვდათ, ქართველი სპორტსმენები მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ.

პირველი ადგილისათვის ორთაბრძოლაში მოსკოვის ძლიერმა გუნდმა ოთხ შეხვედრაში დაამარცხა ბელორუსი ჩოგბურთელები და თასი შეინარჩუნა.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა პირველი ადგილის მოსაპოვებლად ბაკმაოდ იოლად მოუგო მოსკოვის გუნდს — 4:1. ბრწყინვალედ ასპარეზეს ა. მეტრეველმა და თ. კაჟულიამ, რომლებმაც დამაჯერებლად მოიგეს სამივე შეხვედრა (ერთი — წყვილთა ორთაბრძოლაში): მეტრეველმა სძლია ა. ვოლკოვს — 7:5, 6:1, 6:4, თ. კაჟულიამ — ვ. ბორისოვს — 6:0, 6:1, 6:1. წყვილთა შეხვედრა ევროპის ჩემპიონებმა მოუგეს ა. ვოლკოვისა და ვ. კორტკოვის დუეტს — 7:5, 6:4, 6:0. თბილისელმა ვ. პერეგუდოვმა უაღრესად დაძაბულ და საინტერესო მატჩში დამარცხა ჩოგბურთის ვეტერანი ვ. ეგოროვი — 6:7, 7:6, 5:7, 6:3, 6:4, ხოლო გ. ელერდაშვილმა წაავო ვ. კორტკოვთან — 1:6, 6:4, 2:6, 4:6.

ამ გამარჯვებით საქართველოს ვაჟთა გუნდმა აგრეთვე შეინარჩუნა თასი.

მესამე ადგილისათვის რუსეთის ფედერაციის გუნდმა აჯობა ესტონეთის კოლექტივს და თასის გათამაშების პრიზიორი გახდა.

**ხურთიებზე:** ხსრ კავშირის 1976 წლის თასების მფლობელები ჩოგბურთში — მოხკოვის ქალთა (ზემოთ) და საქართველოს ვაჟთა (ქვემოთ) ნაკრები გუნდები.

**ე. ივანოვის ფოტო.**



## ჭადრაკი

### „ერთი ზედმეტი“

**ბუენოს** მილანში გაიხსნა სამი მოჭადრაკის — მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ტალის, პეტროსიანის და უნგრელი დიდოსტატის პორტიშის დამატებითი მატჩ-ტურნირი. ორი გამარჯვებული გაისად ბრძოლას გაგრძობს პრეტენდენტთა შეჯიბრებაში. ისე, რომ ახლა ხაკითხი ასე დგას, „ვინ იქნება ერთი ზედმეტი“.

მატჩ-ტურნირი 4 წრისაგან შედგება. ტალის ხეკუნდანტი ოსტატი კირიღოვი, პეტროსიანისა — საერთაშორისო ოსტატი ზაიცევი (რომელსაც მალე დიდოსტატის წოდება უნდა მიენიჭოს). პორტიშს ახალი ხეკუნდანტი ჰყავს — დიდოსტატი ფორისტოშა.

### 1 ოქტომბერს ციურიხში

**რეგორც** უეფა-ს ხამდივნო ეუწყება, ფეხბურთში ხამივე ძირითადი ევროპული ტურნირის (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასები) მეორე წრის მატჩების წილისყრა გაიმართება ციურიხში, 1 ოქტომბერს.

## „ოკეანელია“ სამი გოლი

**ბორონეში.** (საკ. ფეხ.). ჩრდილოეთ ამერიკის ფეხბურთელთა ჩემპიონატი პირველად მოიგეს „ოკეანელიმ“. სეიტლში 25 ათასი მაყურებლის თანდასწრებით კანადის „ლუბმა „ტორონტო მეტროსმა“, რომელშიც ბევრია ოკეანის გამოღმა ნაყიდი მოთამაშე, ანგარიშით 3:0 დაამარცხა „მინნესოტა კიკსი“ (აშშ).

კან